

შპს „ელექტრონი“

2022 წლის

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი	2020 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	23,487	26,097	28,031
სულ გრძელვადიანი აქტივები		23,487	26,097	28,031
სასაქონლო მარაგები	4	1,006,765	269,946	445,890
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,336,430	371,396	1,390,690
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		260,334	153,955	566,465
სხვა მიმდინარე აქტივები	6	937,100	252,937	206,700
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,540,629	1,048,234	2,609,746
სულ აქტივები		3,564,116	1,074,331	2,637,777
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	3,112,414	352,158	1,384,151
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,112,414	352,158	1,384,151
გრძელვადიანი ვალდებულებები		100,000	200,100	150,000
სულ ვალდებულებები		3,212,414	552,258	1,534,151
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		351,702	522,073	1,103,626
სულ საკუთარი კაპიტალი		351,702	522,073	1,103,626
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,564,117	1,074,331	2,637,777

მოგება-ზარალის ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	8	2,280,122	1,575,963
ამონაგების თვითღირებულება		(1,297,575)	(1,083,452)
საერთო მოგება		982,547	492,511
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(732,139)	(594,342)
ფინანსური ხარჯი		(28,254)	(7,785)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი		(14,525)	6,000
მოგება დაბეგვრამდე		207,629	(103,616)
მოგების გადასახადი		(56,700)	(71,691)
წმინდა მოგება/ზარალი		150,929	(175,307)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022
პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2020	-	1,103,627	1,103,627
			-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-
გაცემული დივიდენდები		(477,937)	(477,937)
პერიოდის მოგება		(103,616)	(103,616)
			-
ნაშთი - 31.12.2021		522,073	522,073
			-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-
გაცემული დივიდენდები		(378,000)	(378,000)
პერიოდის მოგება		207,629	207,629
			-
ნაშთი - 31.12.2022		351,702	351,702

შპს „ელექტრონი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელექტრონი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 19/04/2013). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვ. სარაჯიშვილის ქ. #15. საზოგადოების ძირითადი საქმიანობაა მშენებლობების (ძირითადად გზების, გვირაბების) ელექტრო და ტელეკომუნიკაციებით უზრუნველყოფა, მაღალი ძაბვის ქვესადგურების ტელეკომუნიკაციების მშენებლობა-მონტაჟი, აგრეთვე გარე განათების ქსელების მონტაჟი. კომპანა საქმიანობას ანხორციელებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

დირექტორი: ივანე მაღლაკელიძე (პ.ნ. 01002000903)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

უცხოური ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული

ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	2022	2021	2020
1 აშშ დოლარი/ლარი	2.7020	3.0976	3.2766
1 ევრო/ლარი	2.8844	3.5040	4.0233

ამონაგების აღიარება

ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი ან/და მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 – 20 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 10 – 30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები

გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

	მსუბუქი ავტომობილები	ოფისის აღჭურვილობა
თვითღირებულება	ლარი	ლარი
წმინდა ღირებულება		
ბალანსი 31.12.2020	19,342	8,689
მსუბუქი ავტომობილები	ლარი	ლარი
თვითღირებულება		
1 იანვარი 2021 წ.	32,970	10,393
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2021 წ.	32,970	11,053
აკუმულირებული ცვეთა		
ბალანსი 31.12.2020	(13,628)	(2,364)
ცვეთა პერიოდისათვის	(1,934)	-
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა		
აკუმულირებული ცვეთა 31.12.2021	(15,562)	(2,364)
წმინდა ღირებულება		
ბალანსი 31.12.2021	17,408	8,689
მსუბუქი ავტომობილები	ლარი	ლარი
თვითღირებულება		
1 იანვარი 2022 წ.	32,970	10,393
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2022 წ.	32,970	11,053
აკუმულირებული ცვეთა		
ბალანსი 31.12.2021	(15,562)	(2,364)
ცვეთა პერიოდისათვის	(1,741)	(869)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა		
აკუმულირებული ცვეთა 31.12.2022	(17,303)	(3,233)
წმინდა ღირებულება		
ბალანსი 31.12.2022	15,667	7,820

შენიშვნა 4.

სასაქონლო მარაგები

	2022	2021	2020
	ლარი	ლარი	ლარი
საწყისი მარაგები	269,946	445,890	61,544
მარაგების შესყიდვა	2,034,394	907,507	834,891
რეალიზებული თვითღირებულება	(1,297,575)	(1,083,452)	(450,544)
სულ:	1,006,765	269,946	445,890

შენიშვნა 5.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021	2020
	ლარი	ლარი	ლარი
მოთხოვნები გაწეული მომსახურებიდან	1,336,430	371,396	1,390,690
სულ:	1,336,430	371,396	1,390,690

შენიშვნა 6.

სხვა მიმდინარე აქტივები

	2022	2021	2020
	ლარი	ლარი	ლარი
გადახდილი ავანსები	521,444	83,605	201,377
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	415,656	169,332	5,324
სულ:	937,100	252,937	206,700

შენიშვნა 7.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2022	2021	2020
	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	109,625	135,905	245,473
მიღებული ავანსები	3,002,789	216,253	1,138,678
სულ:	3,112,414	352,158	1,384,151

შენიშვნა 8.**ამონაგები**

კომპანია ახორციელებს მაღალი ძაბვის ხაზების, მაღალი ძაბვის ქვესადგურების, და ტელეკომუნიკაციების მშენებლობა-მონტაჟს, აგრეთვე გარე განათების ქსელის მონტაჟს. ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება ან/და საკუთრების უფლება გადაეცემა.

	2022	2021
	ლარი	ლარი
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	2,280,122	1,575,963

შენიშვნა 9.

	2022	2021
	ლარი	ლარი
ადმინისტრაციული ხარჯები		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(573,300)	(393,885)
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,610)	(1,934)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(132,230)	(183,523)
იჯარის ხარჯი	(24,000)	(15,000)
სულ:	(732,139)	(594,342)

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა ანგარიშგების შინაარსზე.

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 18 სექტემბერს

მოგება-ზარალის ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	8	2,280,122	1,575,963
ამონაგების თვითღირებულება		(1,297,575)	(1,083,452)
საერთო მოგება		982,547	492,511
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(732,139)	(594,342)
ფინანსური ხარჯი		(28,254)	(7,785)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი		(14,525)	6,000
მოგება დაბეგვრამდე		207,629	(103,616)
მოგების გადასახადი		(56,700)	(71,691)
წმინდა მოგება/ზარალი		150,929	(175,307)

შპს „ელექტრონი“-ს
დირექტორი ივანე მაღლაკელიძე



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი	2020 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	23,487	26,097	28,031
სულ გრძელვადიანი აქტივები		23,487	26,097	28,031
სასაქონლო მარაგები	4	1,006,765	269,946	445,890
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,336,430	371,396	1,390,690
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		260,334	153,955	566,465
სხვა მიმდინარე აქტივები	6	937,100	252,937	206,700
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,540,629	1,048,234	2,609,746
სულ აქტივები		3,564,116	1,074,331	2,637,777
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	3,112,414	352,158	1,384,151
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,112,414	352,158	1,384,151
გრძელვადიანი ვალდებულებები		100,000	200,100	150,000
სულ ვალდებულებები		3,212,414	552,258	1,534,151
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		351,702	522,073	1,103,626
სულ საკუთარი კაპიტალი		351,702	522,073	1,103,626
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,564,117	1,074,331	2,637,777

შპს „ელექტრონი“-ს
დირექტორი ივანე მაღლაკელიძე



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022
პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2020	-	1,103,627	1,103,627
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-
გაცემული დივიდენდები		(477,937)	(477,937)
პერიოდის მოგება		(103,616)	(103,616)
ნაშთი - 31.12.2021		522,073	522,073
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-
გაცემული დივიდენდები		(378,000)	(378,000)
პერიოდის მოგება		207,629	207,629
ნაშთი - 31.12.2022		351,702	351,702

შპს „ელექტრონი“-ს
დირექტორი ივანე მაღლაკელიძე



შენიშვნა 8.

ამონაგები

კომპანია ახორციელებს მაღალი ძაბვის ხაზების, მაღალი ძაბვის ქვესადგურების, და ტელეკომუნიკაციების მშენებლობა-მონტაჟს, აგრეთვე გარე განათების ქსელის მონტაჟს. ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება ან/და საკუთრების უფლება გადაეცემა.

	2022 ლარი	2021 ლარი
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	2,280,122	1,575,963

შენიშვნა 9.

ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 ლარი	2021 ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	(573,300)	(393,885)
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,610)	(1,934)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(132,230)	(183,523)
იჯარის ხარჯი	(24,000)	(15,000)
სულ:	(732,139)	(594,342)

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა ანგარიშგების შინაარსზე.

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 18 სექტემბერს

შპს „ელექტრონი“-ს
დირექტორი ივანე მაღლაკელიძე

